საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

№453 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიეცეს უფლება წალენჯიხის მუნიციპალიტეტს, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 3 312 (სამი ათას სამას თორმეტი) ლარი და „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 29 540 (ოცდაცხრა ათას ხუთას ორმოცი) ლარი, ჯამში – 32 852 (ოცდათორმეტი ათას რვაას

ორმოცდათორმეტი) ლარი მიმართოს დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2. ეთხოვოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, ამავე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული განკარგულებების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შესახებ ინფორმაცია (თითოეული ღონისძიების მითითებით) წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი

№	პროექტის დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	ჭალეს ადმინისტრაციული ერთეულში ხიდ-ბოგირის მოწყობა	8 292
2	ქ. ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში მილხიდის მოწყობა	11 559
3	ქ. წალენჯიხა, 26 მაისის ქუჩაზე რკ/ბეტონის ხიდ - ბოგირის მოწყობა	3 329
4	ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის ეზოს შემოღობვა, ელ. მომარაგების ქსელის ცენტრალურ სადენთან დაერთება.	6 669
5	ჭალეს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	3 003
	სულ ჯამი	**32 852**